ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№11, 26 ნოემბერი, სამშაბათი, 2019 წელი

ზღაპარი, რომელიც სინამდვილე იყო
(იზა ვეფხვაძის ლიტერატურული მონო-სპექტაკლის მიხედვით)

ბატონი თენგიზ უთმელიძე იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც მე-2 მსოფლიო ომის თვითმფრინავების ბომბების საზარელი ხმა ახსოვს და დანგრეული შენობების ნასხლეტებივით სულში აქვს ჩარჩენილი. თაობის, რომლის ერთადერთი გასართობი გერმანელი ტყვეების მიერ ხისგან გაკეთებული სათამაშოები იყო, რომელსაც პატარა ბიჭები საკვებში უცვლიდნენ.

1945 წლის 1 სექტემბერს, პატარა, ლამაზი ბიჭი, ბებიამ თბილისის 32-ე სკოლაში მიიყვანა, ხელჩაკიდებული. ბავშვობიდანვე მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩეოდა ბ-ნი თენგიზი. განსაკუთრებით მოგზაურობა და ალპინიზმი იტაცებდა, ამიტომაც მაშინდელ პიონერთა სასახლეში ტურიზმისა და ალპინიზმის წრეზე შეიყვანეს, რომელსაც ლეგენდარული ალექსანდრა ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა – ნებისყოფისა და სიმტკიცის მაგალითი ახალგაზრდებისთვის. პატარა თენგიზმა, ბავშვობიდანვე, ზურგჩანთითა და კალმით ხელში მოიარა მთელი საქართველო, ამიტომაც იმთავითვე დაიბუდა მშობელი მიწის სიყვარულმა და სურნელმა მის გულში. ცეკვაც იტაცებდა... რომან ჭოხონელიძის ჯგუფში შეიყვანეს. ასე ეზიარა პირველად ქართულ ცეკვას.

ტექნიკუმში სწავლისას, კურსელებმა სტიპენდია აიღეს და პლეხანოვის უბნის ერთ-ერთ რესტორანში კარგად მოილხინეს, სიმღერაც წამოიწყეს. რესტორნიდან გამოსულებს, გასასვლელთან ულამაზესი ახალგაზრდა კაცი დახვდათ, რომელმაც გამორჩეული გარეგნობისა და დახვეწილი მანერების თენგიზ უთმელიძე გვერდით გაიხმო და კინოსტუდიაში სასინჯ გადაღებაზე მისვლა შესთავაზა. ეს ახალგაზრდა 27 წლის რეზო თაბუკაშვილი გახლდათ, რომელიც მაშინ კინოსტუდიაში მუშაობდა და სიკო დოლიძისაგან ჰქონდა დავალებული ფილმისთვის ,,ეთერის სიმღერა" შესაფერისი შემსრულებლები მოეძებნა. ასე მოხვდა რეზო თაბუკაშვილის მოწონებული 17 წლის თენგიზ უთმელიძე კინოსტუდიაში, რომელიც შემდეგ გაიხსენებს:

„კიბეზე ასულმა ჟორა შავგულიძე დავინახე, ვესტიბიულში სპარტაკ ბაღაშვილი სიგარეტს აბოლებდა. ფოტოების გადაღებისას კახი კავსაძე შემოვიდა – უკვე თეატრის მსახიობი, მურმანის როლზე დაამტკიცეს, მე კი აბესალომის როლი მერგო. ზღაპარში მოვხვდი, მეგონა... ერთი თვით ოპერის თეატრში გამამწესეს ხმის დასახვეწად."

ოპერის თეატრი – თბილისის გული და სული, ახალგაზრდებისათვის კი, შეკრების წმინდა ალაგი იყო. საღამოს 8 საათზე თეთრპერანგიანი ბიჭები გამოეფინებოდნენ ოპერის ბაღში. თითო შარვალი ჰქონდათ, ისიც, ხშირად დაუთოვებისგან, ცალ მხარეს დამწვარი.

,,აქ ვსწავლობდით ღირსებას, კაცობას, ქალის პატივისცემას, ერთმანეთის გატანას, – ყველაფერს ქართულს. მოგვიანებით ჩამოივლიდა გალაქტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი. ოპერაში შესულები ფეხსაცმელებს ვამოწმებდით, ქუჩის ჭუჭყი რომ არ შეგვეტანა."



ნინო რამიშვილი და თენგიზ უთმელიძე

1957 წელია, მოსკოვში მსოფლიოს მე-6 ახალგაზრდული ფესტივალი იმართება. საქართველოდან 150 კაციანი ჯგუფი უნდა წარსდგეს ცეკვა ,,ფერხულით". ხელმძღვანელები – **ნინო რამიშვილი** და **ილიკო სუხიშვილი** გარეგნობით, პლასტიკით გამორჩეულ ახალგაზრდებს ეძებენ. ხუმრობა ხომ არ არის – მოსკოვში საქართველო უნდა წარმოადგინონ! ამ ჯგუფში ბ-ნი თენგიზიც მოხვდა.

ფესტივალის დამთავრების შემდეგ, ილიკო სუხიშვილმა ანსამბლში მისვლა შესთავაზა, რაზეც მოკრძალებული უარი მიიღო. ყურადღება სწავლისკენ მაქვს. თანაც, მე მოცეკვავე არ ვარ, უბრალო ილეთები პიონერთა სასახლიდან შევისწავლეო.

ფილარმონიაში, მეგობრების სანახავად მისული თენგიზი ბედმა კვლავ შეახვედრა ილიკოს. საათნახევრიანი საუბრის შემდეგ, 18 წლის თენგიზ უთმელიძე ლეგენდარული ანსამბლის წევრი გახდა. წინასწარი ექვსთვიანი სტაჟირების გავლის გარეშე, ხელფასიც დაუნიშნეს და სწავლაში ხელშეწყობასაც დაპირდნენ.

და, ასე დაიწყო საშინლად დამღლელი, ყოველდღიური, 7-8 საათიანი შეუსვენებელი რეპეტიციები. ცუღლუტობას არ აპატიებდნენ. რომ არა ასეთი წვრთნა და დისციპლინა, ანსამბლი ვერ შედგებოდა. ბატონი თენგიზი იხსენებს:

„გლაზგოში, „სამეფო თეატრში" გვაქვს გამოსვლა. ბატონი ილიკო მეუბნება: „დღეს ნინოს სიურპრიზი უნდა გავუკეთოთ, „ქართულს" იცეკვებ მასთან". კი, მაგრამ ასე, მოულოდნელად, რეპეტიციის გარეშე, თანაც აქ... „სამეფო თეატრში"? ფიქრისთვის დროს არ მიტოვებს ბატონი ილიკო და ჩოხას მაწვდის. ზ. ფალიაშვილის უკვდავი ჰანგები... ნინოსკენ მივცურავ... ქალბატონ ნინოს არ შევუქივარ, მაგრამ არც შენიშვნა მოუცია. ეს კი წარმატებას ნიშნავდა."

,,გეპეი"-ში სწავლას თავს ანებებს და სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აბარებს. კორიფეები უკითხავდნენ ლექციას ადამიანობის არსის შესახებ: ევგენი ხარაძე, შალვა ნუცუბიძე. კორნელი კეკელიძის სიტყვები არ ავიწყდება: **„ახალგაზრდებო, ვიდრე ამ წმინდა ტაძარში შემოხვალთ, განიწმინდეთ ქუჩის უწმინდურობისაგან და ისე შემოაბიჯეთ!.."**

,,სუხიშვილები" მსოფლიოს გარშემო ტურნეს იწყებენ და მათთან ერთად მოგზაურობს თენგიზ უთმელიძე, არა მხოლოდ როგორც მოცეკვავე, არამედ, როგორც ჟურნალისტი და ეს, უდიდესი პრაქტიკა იყო მისთვის. იგი იწყებს ანსამბლის მატიანეს შექმნას.

„ბრიუსელში ვართ, წინასაახალწლო, საშობაო დღეებია. „ხანჯლურის" ბოლო აკორდი გვაქვს სცენაზე. უეცრად, ჩემი ხანჯალი ასხლტა და მაყურებლისკენ მიფრინავს... ვხედავ, წინა რიგში მჯდომ, ცისფერთვალა გოგონას მარჯვენა მუხლთან სისხლი ჟონავს. გოგონა ხანჯალს მიბრუნებს... გასახდელიდან გავდივარ, უნდა მოვძებნო... და გოგონა თითქოს მე მიცდის:

– სიუზანა – მიწვდის ხელს. აფორიაქებულმა მოვუბოდიშე...

– რას ამბობთ, ეს დიდებული საშობაო საჩუქარი იყო ჩემთვის, თქვენგან მოძღვნილი, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ!

მე ხანჯალს ვჩუქნი სიუზანას..."

ამერიკაში გასტროლების დროს ფოტო-კორესპოდენტი ეკითხება ბ-ნ თენგიზს:

– ბუნებაში სად შეიძლება, რომ ფოტო გადაგიღოთ?

– თუნდაც, ტრამვაის თავზე, – ხუმრობით უპასუხებს. და ასე გაჩნდა თენგიზ უთმელიძის ცნობილი სარეკლამო ნახტომი, რომელიც ამერიკაში ბანერიდან კარგა ხანს არ ჩამოსულა.

,,მეტროპოლიტენ ოპერაში", სადაც 4000 მაყურებელი ეტევა, კონცერტის დასასრულს, სცენაზე სალვადორ დალი ავიდა და თენგიზს ცერების ჩვენება სთხოვა, ეგონა, რომ სპეციალური ფეხსაცმელი ან პუანტები ეცვა. შვედეთის მეფემაც კულისებში ცერები შეუმოწმა ქართველ მოცეკვავეებს. ჯორჯ ბალანჩინმა კი, მათი ცეკვით მოხიბლულმა, კიდევ ერთხელ იამაყა თავისი ქართველობით.

იმდენჯერ აიწია ფარდა, სათვალავი აღარ იყო, ემოციებით სავსე მაყურებელი არ იშლებოდა, დარბაზიდან არ მიდიოდა. ისეც ხდებოდა, რომ მოცეკვავეებს კოსტიუმების ხელახალი ჩაცმა უხდებოდათ, რათა კვლავ გასულიყვნენ სცენაზე მაყურებელთან დასამშვიდობებლად. **,,ქართველ მოცეკვავეებს ტყვედ ჰყავდათ მთელი დარბაზი!" „ქართველებმა დაიპყრეს კალიფორნია!" „თქვენ დაგვამუნჯეთ! ასეთი სანახაობა ამერიკას არასოდეს უნახავს!"** – წერდა ამერიკული პრესა. არც ევროპელი მაყურებლის გულის დაპყრობა გაძნელებიათ ქ-ნ ნინოს და ბ-ნ ილიკოს. **„სუხიშვილები" ფეხის წვერებზე დადიან და ასე აჩოქებენ მსოფლიოს!" „სუხიშვილებმა" კონსერვატორი ინგლისელი მაყურებლის დარბაზი ბრძოლის გარეშე აიღეს!"**

1966 წელია. ,,ვეფხისტყაოსნის" 800 წლის საიუბილეოდ ემზადება მთავრობა. ნინომ და ილიკომ ,,ქაჯეთის ციხის" ეპიზოდის დადგმა გადაწყვიტეს. ბრწყინვალე მოცეკვავეთა თანავარსკვლავედი შეიკრა: **თენგიზ სუხიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, მფრინავი ვეფხვი – ომარ მხეიძე;** უმშვენიერეს გოგონათა თაიგული: **ლატავრა ფოჩიანი, ნინო კირვალიძე; მანანა აბაზაძე,** ტარიელობა თენგიზ უთმელიძეს ერგო. **სოლიკო ვირსალაძის** კოსტიუმებით დამშვენებული მოცეკვავეები **არჩილ ჩიმაკაძის** და **რეზო ლაღიძის** მელოდიებით ჰყვებოდნენ

პლასტიკაში განსხეულებულ ამბავს.

მსოფლიოს 90-მდე ქვეყანა და 500 ქალაქი მოიარეს ,,სუხიშვილებმა“ ტრიუმფალური წარმატებით, 15 000 კონცერტზე, 50 მილიონზე მეტი მაყურებელი უკრავდა ტაშს აღფრთოვანებით. როგორც პირველი ქართველი მოცეკვავე უცხოეთში ელენე ჩერქეზიშვილი იტყვის: **,,ქართული ცეკვა რომ იცეკვო, უსათუოდ, იქ, საქართველოში უნდა დაიბადო, ქართული ჰანგები ისმინო და კახური ღვინო შესვა. ეს საოცარი ახალგაზრდები ამიტომაც არიან განუმეორებელნი“.**

,,სუხიშვილებმა რკინის ფარდაზე გაჭრილი სარკმლით მსოფლიოს დაანახვეს ქართული გენისა და ნიჭის უკიდეგანობა. ეს იყო ზღაპარი, რომელიც სინამდვილე იყო და ზღაპარს ჰგავდა, რომლის საოცარი დღეები, წუთები და წამები ბატონმა თენგიზმა თავის ფოტო-აპარატში მარადიულად აქცია, ხოლო ფოტოხელოვნება – მის მეორე ხელოვნებად. იმ ქვეყნებში, სადაც ტურნეებს მართავდნენ, ადვილი არ იყო ფირების გამჟღავნება, რასაც წერილებს დაურთავდა და საქართველოში აგზავნიდა, ფილმებთან ერთად. ეს მატიანე ჭეშმარიტ საგანძურად იქცა და მომავალ თაობებს ,,სუხიშვილების” სიო მოუტანა. პირველი ფოტო-გამოფენა დიდი ნინოს სიცოცხლეშივე მოეწყო, როცა ცეკვის ჯადოქარი 90 წლის გახდა. 2019 წლის 21 ნოემბერს, მ. ბერძენიშვილის სახ. კულტურის ცენტრში ,,მუზა“ ბატონი თენგიზ უთმელიძის 39-ე გამოფენა გაიმართა.

...მალე, თენგიზს, კვლავ მთავარ როლს სთავაზობენ ფილმში ,,ნინო”. ცდუნება დიდია, არადა, ანსამბლში უკვე წამყვანი სოლისტია. კინოსტუდიიდან წერილი გაუგზავნეს ნინო რამიშვილს, არცკი წაიკითხა: ,,ან შენი კინოსტუდია, ან ანსამბლი!” ნინო რამიშვილის პარტნიორობა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. თენგიზი ფილმში გადაღებაზე უარს ამბობს და ანსამბლში რჩება.

17 წელი იდგა თენგიზ უთმელიძე სცენაზე, ქართული სული – ჩოხა ატარა, ღირსებით სავსემ, **ჩოხა, რომელიც ქართველ მოცეკვავეს არაფერს პატიობს,** თუმცა საპატიებელი არაფერი ჰქონია ბატონ თენგიზს. ცეკვის შემდეგ საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო. ქორეოგრაფიას, ჟურნალისტიკას და ფოტო-ხელოვნებას კიდევ ერთი ტიტული მიემატა – დიდი საზოგადო მოღვაწე.

,,ერთხელ, ანსამბლიდან წასვლის შემდეგ, ქ-ნ ნინოსთან თამადობამ მომიწია. ხელში ყანწი მიჭირავს და თითქოს თანხმობას ვთხოვ.

– ახლა შეგიძლია დალიო, – მეუბნება ნინო.

– ახლა? როცა დალევა მე აღარ შემიძლია, ახლა? – ვეკითხები ღიმილით.

– აი, მაშინ რომ დაგელია, შენ თენგიზი არ იქნებოდი. – მიპასუხა.

იმ უამრავ წოდებასა და რეგალიას შორის, რომელიც ბ-ნ თენგიზს სრულიად დამსახურებულად მიენიჭა, უმთავრესი ქართველი ხალხის სიყვარულია. და მაინც, დაე, მომავალმა თაობამ იცოდეს ლეგენდარული ,,სუხიშვილების”, აწ უკვე მხცით დაფენილი, ლეგენდარული მოცეკვავის ჯილდოებისა და ნამოღვაწარის ვრცელი ჩამონათვალი: გაზეთ ,,კომინისტის” სპეც-კორესპონდენტი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში; ავტორი მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა: ,,სუხიშვილების” საგასტროლო მოგზაურობის შესახებ ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სინგაპურში”; ავტორი წიგნებისა: ,,სუხიშვილები” – რომანტიკული ფოტო-მატიანე”, ,,როკვით განფენილი ქართული გენია”; შემდგენელი და რედაქტორი არაერთი წიგნისა, ასობით სტატიის, ფოტო-რეპორტაჟისა და ნარკვევის – მიძღვნილი საზოგადო მოღვაწეებისადმი; 39 პერსონალური ფოტო-გამოფენის ავტორი; ქართული კულტურის დღეების კოორდინატორი და მონაწილე სან-დიეგოში, სტამბოლსა და მოსკოვში; ბ-ნი თენგიზის პირადი ინიციატივით, 2005 წელს დაარსდა ქართული ქორეოგრაფიის დღე; 1971 წლიდან არის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი; საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის საპატიო თავმჯდომარე; კულტურული ურთიერთობის სამმართველოს უფროსი საზღვარგარეთის ქვეყნებთან; საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილე; უმაღლესი სასწავლებლების მთავარი ინსპექტორი; მ. ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის ,,მუზა” გენერალური დირექტორი.

და ამ ყველაფერს აგვირგვინებს: **საქართველოს სახალხო არტისტი; საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; ღირსების ორდენის კავალერი; ქართული კულტურის რაინდი; ხელოვნების ქურუმი; ი. ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატი; თბილისის საპატიო მოქალაქე; ქართულო ქორეოგრაფიის რაინდის ორდენის მფლობელი; 2018 წელს, სახელმწიფო ფილარმონიის წინ გაიხსნა თენგიზ უთმელიძის ვარსკვლავი!**

მხნეობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ ბ-ნ თენგიზს!

ჩაიწერა **ეკა ბაქრაძემ**

ინტერვიუ საკუთარ თავთან

ნაცო ლონგაშვილი

ლექსებზე მეტად გულწრფელი ინტერვიუ

მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ... ბავშვობიდან, სადაც მუდამ უხერხულად ატუზული, დაბნეული და გარიყული მახსოვს ჩემი პატარაობა. მარტოსულობის სევდაც იმ დროიდან მომყვება.

მე, უსათუოდ, ვიქნებოდი ორი მუზის მსახური, სწორი გზა რომ ამერჩია ცხოვრების ერთ-ერთ გზასაყარზე... მუზა იყო და არის ჩემი შვება... ჩემი ხმელეთი ცხოვრების მღელვარე ოკეანეში, უხსოვარი დროიდან მას ვეტრფი:

...მან აიკრიფა გუდა-ნაბადი
და შემოვუშვი მუზა მეორე...
აზრი, სიტყვებით გადანაბარდნი,
უკვე მუსიკით გავიმეორე...
ან
...ყოფნა-არყოფნის ტკბილი გესლია
ფიქრი, გვირაბის ნათელ ბოლოზე,
მიხმობს მუსიკა და პოეზია –
ჩემი სამყაროს ორი პოლუსი...

ოჯახი ან მუზა – ხელს უშლის ერთმანეთს და უდიდესი ძალისხმევა არის საჭირო, რომ ეს, მტკივნეულად შესამჩნევი არ გახდეს. ვეღარ ვახერხებ, ჩემი არსების, თუნდაც მცირე ნაწილი, მუზას მსხვერპლად შევწირო. მუზა მაგიაა, მას მოაქვს აღმაფრენის უეცარი გაბრწყინება, რომელიც მავსებს დაცლილს და აღმადგენს დაცემულს...

...საღამოა, შინ მუზაა მთვრალი
და ვნებდები... ცაზე მთვარე გდია,
ნაცნობივით მაშტერდება მთვარე,
რადგან, ერთხელ, მთელი ღამე მდია...

ჩემი აზრით, ადამიანს ადამიანურს ხდის უბრალოება და სიკეთე...

ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელიც თავის აღმატებულებას უბრალოებით მოსავს და დალოცვილია, თუ სხვისი გასაჭირის გაზიარება შეუძლია. ასეთს, არც ისე ცოტას ვიცნობ. უფრო ბევრს ვიცნობ, ვისაც სახეზე აწერია ,,მე“ ან ,,სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი“.

ნეტარია ადამიანიც, ვინ იპოვა თავისი ამქვეყნად მოსვლის მისია... ჩემი მისია? არ ვიცი, იქნებ ეს კეთილშობილური მისია, რასაც ახლა ვაკეთებ –ზიდვა მრავალშვილიანი ოჯახის მძიმე ტვირთისა. არაერთხელ, რამდენიმე კეთილისმსურველმა მითხრა, მათი ნება რომ იყოს, სუფთა ფურცლებით და კალმით ხელში, იზოლირებულად გამომკეტავდა ისეთ ადგილას, სადაც ოჯახური ,,დავიდარაბა“ ჩემს დარაბებს ვერ მოსწვდებოდა... ხშირად ვნატრობ ასეთ განმარტოებას.

წინასწარ ვგრძნობდი, რომ ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი დადგებოდა და უნდა გამევლო. ყველაფრის მამოძრავებელი მიზეზი და შედეგია ჩემი მეოთხე. პატარა თამუნია გაჩნდა – ესე იგი, ასე უნდა მომხდარიყო.

...მაფრთხობს ჩხრიალი, კიდევ ერთხელ, მაცდური ვერცხლის...
და შევიბრუნე, როგორც ძილი, თავდავიწყება...
ახლა, როდესაც ჩემი ნებით ვერაფერს ვერ ვცვლი,
რაღაც, ღვთის ნებით, დამთავრდება და დაიწყება...

ფიზიკურად გადარჩენის ინსტიქტი შთანთქავს სულიერი გადარჩენისათვის საჭირო ენერგეტიკას, რაც ჩვენს ქვეყანაში საჭირბოროტო, მტკივნეული თემაა.

ფრაზა ჩემი ძველი ლექსიდან: ,,სამშობლო – ავი დედინაცვალი“.

დღეს კი, მუდმივად ილიას ლექსი მეღიღინება:

,,ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?!
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი ჩვენია...“

როცა მუზა მეახლება და აზრი ტვინში მწერივით ბზუის, ხშირ შემთხვევაში, ოჯახური აუცილებლობით ვარ დაკავებული და კალამს ვერ ვწვდები... ამ დროს ვნატრობ, თავის ტვინს ისეთი ფუნქცია ჰქონდეს, რომ გაელვებული აზრი შეინახოს და კომპიუტერში დააფიქსიროს.

ქალის ცხოვრებაში რამდენიმე გარდატეხის პერიოდია. ახლა, როცა 50-ს მივუკაკუნე, სწორედ რომ გარდატეხის პერიოდია. ამ ასაკამდე როდის, რა ხნით და რა დოზით ვიყავი ქალი, ან ხელოვანი, ამაზე არ ვფიქრობდი. დღეიდან არცერთი დღე არ გავა ისე, რომ ხელოვანი არ ვიყო. და ძლიერ, რეალიზებულ ქალად არ ვიგრძნო თავი... ამას საკუთარ თავს ვპირდები!

ხვალ ყველაფერი კარგად იქნება!

მადლობა უფალს ყოველი ხვალისთვის! – ამ სიტყვის მაგიით ჩემს იმედს ვკვებავ. დღეს თუ არა, ხვალ გადავრჩები!

ცხოვრებამ მასწავლა, რომ წლები დღეებივით სწრაფად გადიან და ყოველ დღეს ისე უნდა იცხოვრო, თითქოს უკანასკნელი იყოს, შინაარსიანად და მშვიდად. (კარგი იქნებოდა, მეორე ცხოვრებაც არსებობდეს – პირველი ცხოვრების გამოცდილებით გასავლელი) და უმთავრესი: მასწავლა, რომ ყველა სიამე და წარმატება საკუთარი თავის პატივისცემიდან იწყება...

დარდში და ურვაში გაფლანგული წლები მადარდებს...

ვინატრებდი, შვილების თვალებში მუდამ სიხარულს ვხედავდე...

მინიატურა

შეხვედრა ქ-ნ **ინგა გოგიბერიძესთან** ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, წიგნის ,,თოვლის გამყიდველი" პრეზენტაცია

თოვლის გამყიდველი

მე ვნახე გუშინ თოვლის გუნდის გამყიდველი. კაცი, რომელიც ყიდდა თოვლს.

მე ვნახე გუშინ თოვლის გამყიდველი. კაცი, რომელიც ყიდდა სიცივეს.

მე ვნახე გუშინ თოვლის გამყიდველი. კაცი, რომელიც ყიდდა დარდს და ეს დარდი ზომების მიხედვით დაელაგებინა თან.

მე ვნახ გუშინ თოვლის გამყიდველი, დარდის და სევდის გაუზიარებელი კაცი, რომელიც ყიდდა გუნდას, სავსეს ცრემლით და თოვლის უმანკო ფიფქებით.

მე ვნახე კაცი, მთლიანად თოვლი, რომელმაც დაჰყო საკუთარი ცხოვრება თოვლის გუნდებად, ზომების მიხედვით.

მე ვნახე კაცი, თოვლი კი არა, არც თოვლის პაპა, არც სიხარული. არა, ვნახე ვაცი, რომელმაც, უბრალოდ, თოვლის გუნდა იკმარა.

მე ვნახე კაცი, რომელიც ყიდდა თოვლს, რომელიც ყიდდა ნამს, წვიმას, ქარს და მზეს, მოქცეულს თოვლის გუნდაში.

მე, უბრალოდ, ვიხილე თოვლის გამყიდველი კაცი!

და მე, უბრალოდ, ვიხილე კაცი, კაცი, რომელიც იმედის ქათქათა გუნდებს აგროვებდა პატარებისათვის და ზომების მიხედვით აწყობდა, რათა პატარებს ხელები არ გაჰყინვოდათ...

მე, უბრალოდ, ვიხილე თოვლის, სევდის და თეთრი იმედის გამყიდველი კაცი!

სამშობლო

როგორ აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი? გამიგონია, რომ ყველა ერის წარმომადგენლისაგან განსხვავებით, ქართველს უჭირს უსამშობლობა, ყველაზე მეტად ქართველი კაცი ითრგუნება ნოსტალგიით. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე და ნამდვილად ვიცი, რომ უსამშობლოდ სხვის სამშობლოში ყოფნას ციხე ჰქვია, რომელსაც ყველა კარი ღია აქვს და გამოსვლა არ შეგიძლია, სუნთქვა არ შეგიძლია, შიგ დარჩენაც არ შეგიძლია და ეძებ გზებს ჩემკენ სავალს, შენკენ სავალს, უფლისკენ სავალს...

ორი ადგილი არსებობს დედამიწაზე, სადაც ყველაზე მეტად გჭირდება უფლის დახმარებს... ეს მაშინ ხდება, როცა ციხეში და როცა უსამშობლოდ ხარ... და, როცა არც სამშობლო გყავს გვერდით და არც ის ადამიანები, რომლებიც შენთვის ამ ქვეყანაზე არსებობისას ძვირფასად მიიჩნევენ. თუ ნამდვილი ქართველი ხარ, კიდევ უფრო გიძლიერდება სურვილი, იმღერო უცხო ქვეყანაში ,,დარიალს რომ მოადგები, მაღალ მთის კარებს, იქ იწყება დალოცვილი ეს ჩემი მხარე, ჩემი ტურფა საქართველო..."

და კიდევ უფრო გიძლიერდება სურვილი, თაფლი წაისვა ცოტნე დადიანივით და შენი სითბოთი, თუნდაც ტკივილ-მწარეთი ეძებო ჩემკენ, შენკენ და უფლისკენ სავალი გზები.

საკანი

საკნის კარი ბრახუნით დაიხურა. ხმა, რომელიც მას თან შემოჰყვა, სიცოცხლის მინელებისა იყო. მუდმივ ძიებაში მყოფ ჩუმ, მოუსვენარ, ჯიუტ და თავმოყვარე კაცს თავისი ადგილი ეპოვა – ადგილი, რომელსაც საკანი ერქვა. საკანი, დიდი ხანია, ელოდებოდა. ეს ლოდინი ხომ მისი ცხოვრების წესი იყო: ლოდინი ფულის, ლოდინი ეჭვის, ლოდინი გაურკვევლობისა და მოლოდინის ლოდინი. ესეც შორიდან, პატარაობიდან მოფრინავდა, უდედმამოდ გაფრენილი ბავშვობიდან, უსახლკარობიდან და უღმერთობიდან. საკანი კი ადგილი იყო, სადაც ამას ყველაფერს დამალავდი, სქელ შავ ტილოს გადააფარებდი და მხოლოდ მაშინ შეიხედავდი დასათვალიერებლად, რკინის გისოსებიდან მთვარის სხივის ნათელი რომ გაანათებდა. გაანათებდა ისეთ ბნელ წარსულს და ბნელ მომავალს, როგორსაც აქ გამომწყვდეული კარგად ემეგობრებოდი, რადგან გგონია, შენ გარდა ვერავინ ხედავდა შენს ტანჯვას. ვერავინ ხედავდა, როგორ მირბოდი ტყეში უკანმოუხედავად, რათა საკუთარი თავი გადაგერჩინა მდევრებისაგან, რომელთა სახელი დღესაც არ იცი, ვერავინ ხედავდა, როგორ გითმობდნენ გზას სხვები. ვერავინ ხედავდა, ხეებზე ფოთლები რომ უეცრად აშრიალდებოდნენ და ზევით აიწეოდა ის ადგილი, რომელიც გაუვალი გეგონა. ჭაობს რომ მიადგებოდი, ყოველი ფეხის ჩაფლობა ჩაძირვას გიწინასწარმეტყველებდა, მაგრამ აქაც გამოჩნდებოდა მრგვალი, სქელტანიანი ფოთოლი, როემლსაც ზევით აჰყავდი და უმტკივნეულოდ შორდებოდი შლამისა და ნეხვის სუნს. მაშ, რატომ?

რატომ აირჩიე შენი სიცოცხლის ბოლოდ ადგილი, რომელსაც საკანი ჰქვია. ეს საკანი ხომ თავისუფლებას ზღუდავს, კარი იკეტება და მარტო რჩები საკუთარ თავთან. ალბათ იმიტომ, რომ აქ ყველაფერი უფრო იოლია – თავდავიწყება სიყვარულს არ ჰგავს, ეჭვი – გამტანობას, სიხარული – ერთგულებას, ტანჯვა-წამებას. აქ ყველა გრძნობა ხომ განსხვავებულია, ხედვა დაკლებული, სუნთქვა გახშირებული და სული დამძიმებული. საკანთან მეგობრობა ძნელია, მაგრამ უმეგობრობას სჯობს, იმ უმეგობრობას, რომელსაც უსამშობლობა ჰქვია.

შენი სამშობლოც ხომ ერთი დიდი საკანია, სადაც ერთმანეთში ირევა ყველაფერი – ზიზღი და სიყვარული, იმედი და უიმედობა, ერთგულება და გამტანობა, ამბიცია და ამპარტავნობა... თავმდაბლობა და ღმერთის სიყვარული და მხოლოდ აქ, საკანშია შესაძლებელი, სადაც ვერავინ გხედავს. აქ არავინაა, რომ გაგკილოს, ვერავინ გხედავს, რომ სააშკარაოზე გამოიტანოს შენი ფიქრები, აქ თანამედროვეობის უახლესი მანქანაც არ მუშაობს და ამიტომ ხარ შენს ქმედებებთან მარტო... ამიტომაც დაიხურა საკნის კარი ბრახუნით და ხმა, რომელიც მას თან შემოჰყვა, სიცოცხლის მინელებისა იყო.

შეშლილი სამყარო

...შეიშალა სამყარო... ქალაქი დაყრუვდა... ასფალტიდან ცეცხლის ენები გზას ვერ იგნებენ... ყრია ასე მიმოფანტული გონება, ენა, ყური, თვალი... სხეულის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა ადგილზეა...შეიშალა ქალაქი... დამშვიდდა სოფელი. იქ ყური და თვალი მიწას მიებარა და აღმოცენდა გონება სხვანაირი... შეიშალა სამყარო. წამოვიდა ცისფერი ყვავილების წვიმა, მაშინ, როდესაც ვარდისფერი უნდა წამოსულიყო... გაიყინა გული მაშინ, როდესაც წითელი სისხლის ბურთებისაგან უნდა ანთებულიყო და ზეცაში გაფრენილიყო... შეიშალა სამყარო, შეიშალა... მე კი შეშლილი ვდგავარ და ვერ ვხვდები, რომ სამყარო შეიშალა: ვისთვის ცისფერი წყალი ვარდისფერია, ცისფერი ზეცა – ყავისფერი, შავი ზღვა – წითელი, ყვითელი მზე – მწვანე და ნათელი მთვარე – ბნელი... შეიშალა სამყარო, შეიშალა...

მე კი ისევ შეშლილი ვდგავარ და ვერ ვხვდები, რამ სამყარო შეიშალა.

ანარეკლი

მოჩვენებად ქცეულ საკუთარ ანარეკლს გამოენთო, დაუცაცხანა, გააგდო...

ანათემას გადაცემულ საკუთარ სხეულს დაუყვავა, დაამშვიდა...

მოზღვავებულ სიავეს სიკეთე დაახვედრა და წასასვლელად მოემზადა...

გზები აირია, თვალები ჩაენაცრა... მართალი კაცის აჩრდილიც კი მოენატრა. განაცრისფერებულ საკუთარ თვალებს დაემალა...

ანათემას გადაცემულ საკუთარ სხეულს ჭრელი პეპლები მიამაგრა...

სიკეთე და სიავე ბოროტებისაგან ვერ გარჩია.

გზები კვლავ აირია და გაიარა...

ცეცხლის ალზე დამწვარი შავი მუგუზალივით ჩაიფერფლა...

აჩრდილად ქცეულ საკუთარ ანარეკლს ზევიდან გადმოხედა...

ანათემას გადაცემულ საკუთარ სხეულს მოეფერა...

შერისხული და განკვეთილი აღარ მოეჩვენა არც სხეული, არც გარემო, არც ცა და არც დედამიწა...

ჭრელი პეპლები სითეთრეს ჰპირდებოდნენ... და მაინც...

მოჩვენებად ქცეულ საკუთარ ანარეკლს გამოენთო, დაუცაცხანა, გააგდო...

ანათემას გადაცემულ საკუთარ სხეულს დაუყვავა, დაამშვიდა...

მოზღვავებულ სიავეს სიკეთე დაახვედრა და წასასვლელად მოემზადა...

იქნებ და არა?!

ყასაბი

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს, ისეთივე ბასრი იყო, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსული და მოლაპარაკე.

დანა, რომელიც სულ თან დამქონდა, ერთნაირად კლავდა პატარა გოჭუნას, ხბოს, ძროხას, ცხვარს და ადამიანის გულს.

დანა, რომლითაც ძვალსა და ხორცს ვაცლიდი ერთმანეთს, ვაშორებდი და ვაცალკევებდი, ისეთივე მწარე იყო როგორიც ადამიანის ტკივილი.

ეს დანა არასოდეს ბლაგვდებოდა, იმიტომ რომ მე ყოველდღე ვლესავდი, ვლესავდი და ვლესავდი მას, რათა კვლავ მომეკლა, გამეტყავებინა, დამეჭრა და დამენაკუწებინა სინამდვილე არსაიდან მოსული.

დანა, რომლითაც ვმუშაობდი, თან ჩამატანეს, რათა არ დამვიწყებოდა, რომ დაბადებას გარდაცვალება მოსდევს, სიხარულს ტკივილი, ბედნიერებას უბედურება, დღეს ღამე და მზეს მთვარე.

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს, ისეთივე ბასრი იყო, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსული და მოლაპარაკე.

მაგრამ დანა ეს, საჭრელი იყო ჩემი, ჩემი სიყვარულის ჩუქურთმა, ჩემი სიხარულის ნაქარგი, ჩემი ხეხილის დამმყნობი, ჩემი ვაზის ყლორტის წამალი და ჩემი ბედნიერების საძირკველი.

გახსენება

ნიჟარების პოეზია

თურმე, ერთი შეხედვით უხმო, გაყუჩებულ ნიჟარებს თავისი მუსიკა და პოეზია აქვთ. ყოველივე ეს რომ შეამჩნიო, გაითავისო, სული შთაბერო, გაამკვეთრო და ააჟღერო, საამისოდ, ნიჭია საჭირო, რომელსაც ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერი **ლალი დათიაშვილი** ფლობდა.

2006 წელს, სატელევიზიო პროექტში ,,იდეა, ფული და ერთი შანსი" ლალი იმ გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა, რომელთაც მხარდაჭერა აღუთქვა ,,თიბისი ბანკის" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ. სწორედ ,,თიბისი ბანკის" საგამოფენო დარბაზში მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა. ,,ქუთაისი', ,,სიყვარული", ,,სპილო", ,,რუსული ზამთარი", ,,რვაფეხა", ნატურმორტები, ნიჟარების კომპოზიციით გაფორმებული სარკეები, ,,საქართველოს დროშა", ,,გაზაფხული", ,,ჭადრის ფოთოლი", ,,ტალღა" და სხვა მრავალი. ნიჟარებით ხატვა ლალის ხელწერაა.

საოცარი სიფაქიზით იყენებს ახალგაზრდა ხელოვანი ნიჟარას, მუყაოს, მინას, სარკეს, ბზას. და, თითქოს, საოცარი არაფერია, – ქართველი ქალი ხომ ოდითგანვე გამოირჩეოდა ხელსაქმით. ცნობილია, თვით თამარ მეფე, მოცალეობის ჟამს ხელსაქმით იყო დაკავებული.

ლალი ქუთაისში დაიბადა. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მხატვარ-დიზაინერის სპეციალობა მიიღო. სადიპლომო თემად საეკლესიო სამოსელი აირჩია. არაჩვეულებრივად შეკერა და გააფორმა. ნამუშევრები ბაგრატის ტაძრის წინამძღოლს მამა გიორგის უსახსოვრა. ერთხანს ფიქრობდა, რომ დიზაინერის პროფესია მისი არჩევანი იყო... მაგრამ უეცრად ყველაფერი შეიცვალა, – ახალგაზრდა რეჟისორის ლელა ჭინჭარაულის რჩევით. რეჟისორობასთან ერთად, ლელას ჰობი ხატვა იყო. შემთხვევით არაფერი ხდება და ახალგაზრდა დიზაინერის სულში მიმალულმა მხატვარმა გაიღვიძა. შემდეგ მოვიდა იდეა, ნიჟარებით დაემშვენებინა ნახატები და, ასე შეიქმნა ლალი დათიაშვილის ჯადოსნური სამყარო.

მონაწილეობდა საქალაქო და საერთაშორისო გამოფენებში – ქუთაისში, თბილისში, ბათუმში, თურქეთში. ,,თიბისი ბანკის" შემდეგ გამოფენამ ამერიკის საელჩოში გადაინაცვლა, იქაც აღტაცება და აღიარება დაიმსახურა.

ლალი დათიაშვილი ფართო დიაპაზონის მქონე ხელოვანი გახლდათ.

სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიცოცხლის გზა. სენმა, რომელსაც მთელი ცხოვრება უმკლავდებოდა, გაიმარჯვა.

თუმცა, არ ეპუებოდა, სიცოცხლის ბოლო წლებში მრავალ შედევრს ქმნიდა მშობლიურ ქუთაისში. ცდილობდა, სიახლე და სილამაზე შეემატებინა ქალაქისთვის.

დღესაც დგას ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ეზოში ლალის პროექტითა და მისი ხელმძღვანელობით გაკეთებული ულამაზესი ,,შინდისფერი ეტლი".

მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორი, მწერალი გიზო თავაძე იხსენებს:

,,ჩვენი პარკის ეზო მუდამ სავსეა ბავშვებით და არც დიდების ნაკლებობას განიცდის... შეყვარებულები შეიყუჟებიან ცუდ ტაროსში და საათობით ბაასობენ. ბებია-ბაბუებსაც წასძლევთ სული და ეტლთან ,,ჩაკარტოჩკდებიან". უამრავი სურათი ვნახე სოციალურ ქსელში, სადაც ჩვენი ეტლი იწონებს თავს.

დაახლოებით ათი-თხუთმეტი წლის წინ, აგვისტოს ხვატისაგან თავდასაღწევად, კურორტ ლაშიჭალაში, ,,ნაღვლის წყაროს" ტერიტორია გამახსენდა, სადაც უმეტესწილად ვხვდებოდით ერთმანეთს მე და ლალი, ზოგჯერ დილითაც, ადრიანად, სპორტულად მოკაზმული მხვდებოდა. ვარჯიშობდა, თან სამკურნალო წყალსაც აგროვებდა წვეთწვეთობით. ვსაუბრობდით, ვიხსენებდით ახლობლებს, მეგობრებს, რომლებიც დასიცხულ ქუთაისში გვეგულებოდნენ. შემდეგ, პოეზიაზე გავაბამდით დისკუსს. და, ბოლოს, მის საყვარელ სფეროზე – მხატვრობაზე. უამრავი საერთო მეგობარი გვყავდა მხატვარი, მოქანდაკე, კერამიკოსი. კულტურის სამსახურში, ჩემი მუშაობისას შემომივლიდა ხოლმე და სულის მოსათქმელად ჩამოჯდებოდა. სულ სადღაც ეჩქარებოდა, სულ ფუსფუსებდა.

ერთ დღეს პარკში მომაკითხა და ეტლის მაკეტი მაჩვენა. ისე მომეწონა, იქვე დავუდე ხელშეკრულება, რაც უხარვეზოდ შეასრულა.

შინდისფერი ეტლი მუდამ სავსეა ბავშვებით, დედებით, ფოტომოყვარულებით. გავუვლი, ხელს გადავუსვამ, მოვეფერები და უსაზღვროდ მტკივა გული, ცრემლები მახრჩობს, რადგან ამ ეტლის შემოქმედი (გამკეთებელიც) იმიერში გადასახლდა, თანაც, უსაშველოდ ადრიანად. უფალს ებარებოდე, ლალი დათიაშვილო, ჩემო დაიკო და უღალატო მეგობარო".

პროფესორ ამირან ხვადაგიანს მოვუსმინოთ:

,,ქალბატონ ლალისთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები მაკავშირებდა, რაც დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის. ბოტანიკური ბაღის ჩემი დირექტორად მუშაობის დროს გავიცანი და მასში სიცოცხლის მძაფრი სიყვარული დავინახე, უშუალობა გულანთებულობა და ღვთით მომადლებული ნიჭი, ბუნებისა და, ზოგადად, სამყაროს თავისებური აღქმისა. სწორედ მისი რჩევით და არქიტექტორ გიორგი კიკვაძის მონაწილეობით დაიდგა სიყვარულის სიმბოლო – გულის ქანდაკება. მახსოვს, ლალიმ რამდენიმე ვარიანტი დაამუშავა ამ პროექტის განსახორციელებლად. ასევე, ურთიერთშეთანხმებით გაკეთდა სიყვარულის ხეივანი და დაიდგა ეტლი, რომელიც ახალგაზრდებს, მათ შორის, ახალდაქორწინებულებს, დღეს, საზეიმო განწყობას უქმნის, უხალისებს და ულამაზებს ცხოვრებას.

ლალი დათიაშვილს, როგორც პიროვნებას და როგორც შემოქმედს, ღირსეული ადგილი ეკავა ქალაქის საზოგადოებაში. დაუჯერებელია დღეს მისი ამქვეყნად არყოფნა. თუმცა, უკვდავია მისი სახელი. სიყვარულით გარემოსილი წავიდა ჩვენგან და უამრავი ლამაზი და თბილი მოგონება დაგვიტოვა!"

ასე გულწრფელად დაიტირა უდროოდ წასული ხელოვანი ქართულმა საზოგადოებამ, ყველამ, ვინც მისი უბადლო ხელოვნების გაცნობა მოასწრო.

ბედნიერების სიმბოლოდ აღიქვამენ ქუთაისელები ლალის დიდი ნიჭისა და ფანტაზიის ნაყოფს – ეტლს, სიყვარულის ხეივანს. აქ მოდიან ბედნიერი სიძე-პატარძლები, სამარადჟამო ერთგულებას ეფიცებიან ერთმანეთს. და, თითქოს, თავის გულისწორთან ერთად, ლალისაც ელოდებიან თეთრი, საპატარძლო სამოსით...

სამწუხაროდ, ძლიერმა სენმა უღვთოდ დაასრულა ულამაზესი ლეგენდა – სინამდვილე, ლალი დათიაშვილი რომ ერქვა, რომელიც ადამიანების სილამაზისა და სიფაქიზის საზიარებლად მოავლინა უფალმა.

ლინა ბარათაშვილი,
პოეტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი